სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 84

2017 წლის 27 ივნისი

ქ. თბილისი

2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ

"ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 მარტის N18 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის 2017 წლის 27 ივნისის სამსახურებრივი ბარათის (N747661) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „2017 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2017 წლის 27 ივნისის N84 ბრძანებით

პროექტის შიფრი	**პროექტის სახელწოდება**	**მასპინძელი დაწესებულება**	**შეუსაბამობა კონკურსის პირობებთან**
YS17_7	კოლექტიური ტრავმა და პოსტტრავმული სინდრომის დაძლევის მექანიზმები (აფხაზეთის ომისა და 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითზე)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, პირველი წლის კვლევით საქმიანობის ხარჯი აღემატება 13500 ლარს
YS17_16	მხატვრულ-კულტურულ ტრადიციათა ტრანსფორმაცია XVIII-XIX საუკუნეების ირანულ ლითონმქანდაკებლობაში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციის საფუძველზე)	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, კერძოდ: წარმოდგენილი არ არის მენტორის თანხმობის წერილი (თანხმობის წერილს აკლია მენტორის ხელმოწერა) წარმოდგენილი არ არის საპროექტო წინადადება (საპროექტო წინადადებას აკლია მენტორის ხელმოწერა)
YS17_68	ტრანსფორმაციული პროცესები, იდეოლოგია და ენობრივი ცვლილება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, კერძოდ გეგმა-გრაფიკით სტატიის გამოქვეყნება არ არის გათვალისწინებული
YS17_70	აჭარისა და შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიკა(ეტიმოლოგიური ძიებანი)	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, კერძოდ გეგმა-გრაფიკით სტატიის გამოქვეყნება არ არის გათვალისწინებული
YS17_93	(სოციალური) უფლებების პოლიტიკის გადააზრება	გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, კერძოდ წარმოდგენილი არ არის გეგმა-გრაფიკი ინგლისურ ენაზე

YS17_97	ევროპელ კათოლიკე მისიონერთა რეზიდენციებიXVII საუკუნის საქართველოში: ქრისტეფორე დე კასტელის სიტყვიერი და ხატოვანი ნარატივი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი. კერძოდ, გეგმა-გრაფიკით სტატიის გამოქვეყნება არ არის გათვალისწინებული
YS17_98	ძილის კვლევაში in vivo მიკროდიალიზის მეთოდის დანერგვა და დოფამინის სპონტანური გამოყოფის შესწავლა ახალი ქერქის სხვადასხვა უბნებში ძილ-ღვიძილის ციკლის ქცევითი მდგომარეობების მიხედვით	ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის. კერძოდ, პირველი და მეორე წლის კვლევით საქმიანობის ხარჯი აღემატება 13500 ლარს
YS17_99	თავის ტვინის მუსკარინული ქოლინერგული სისტემის ფუნქციის დისრეგულაცია, როგორც ჰიპოკამპის ნეიროგენეზის ცვლილების და ძირითადი დეპრესიული დაავდების თანმდევი კოგნიტიური დარღვევების ძირითადი ფაქტორი	ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. კერძოდ, პირველი და მეორე წლის კვლევით საქმიანობის ხარჯი აღემატება 13500 ლარს
YS17_34	“რატომ ვერ ახერხებენ დიდი და მდიდარი ქვეყნები უკეთესი ხარისხის ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნებას?“	კავკასიის უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირობა, კერძოდ „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების მიმდინარე გრანტის მფლობელს არ აქვს კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება“
YS17_14	"პართენოგენეზის ევოლუციის კვლევა კავკასიური კლდის ერთსქესიანი Darevskia dahli და D. armeniaca და მათი სავარაუდო მშობელი ორსქესიანი ხვლიკების მაგალითზე"	ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	უნდა წარმოედგინა მენტორის აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის დამადასტურებელი დოკუმენტი მასპინძელ დაწესებულებაში, რომელიც მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით კვლავ არ დასტურდება მის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადში დარღვეულია კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, კერძოდ წარმოდგენილი არ არის გეგმა-გრაფიკი ინგლისურ ენაზე.